პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინტერესთა ურთიერთმიმართება

საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინტერესთა ურთიერთმიმართება

შესავალი

საჯარო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობა, როგორც ინფორმაციის თავისუფლების განუყოფელი ნაწილი, დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ელემენტია. ასეთი ინფორმაციის გაცნობით მოქალაქეები იღებენ მნიშვნელოვან ფაქტობრივ ცნობებს საჯარო დაწესებულებების საქმიანობის თითოეული მიმართულების შესახებ. აღნიშნული კი, თავის მხრივ, არსებითად უწყობს ხელს ამგვარი ორგანოების საქმიანობის საზოგადოებრივ განხილვას და მის ეფექტურ საზოგადოებრივ კონტროლს.

ხშირია შემთხვევები, როდესაც საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაცია სხვა დეტალებთან ერთად კონკრეტულ ფიზიკურ პირთა შესახებ ცნობებსაც შეიცავს. ფიზიკურ პირებთან დაკავშირებული ინფორმაცია კი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულ სფეროს წარმოადგენს და მასზე წვდომის წესებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მარეგულირებელი კანონმდებლობა განსაზღვრავს.

ამდენად, საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის გაცნობის ზოგიერთმა მოთხოვნამ შესაძლოა წარმოშვას დაპირისპირება ერთი მხრივ, ამგვარი ინფორმაციის გამჭვირვალობის, ხოლო მეორე მხრივ, პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესს შორის.

წინამდებარე დოკუმენტში განხილულია მსგავსი შემთხვევები და გამოკვეთილია ის გარემოებები, რომლებიც გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ ზემოაღნიშნულ ორ ინტერესთაგან უპირატესის გამოვლენისას.

1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინტერესთა ნორმატიული მოწესრიგება

1.1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ინფორმაციის მიღების უფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტია, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობას და მოქალაქეთა ინფორმირებულობას. ეს უფლება ხელს უწყობს საჯარო ხელისუფლების საქმიანობის ანგარიშვალდებულებას. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს ყველა მოქალაქისთვის თანაბარი უფლებრივი პირობების ჩამოყალიბებას, ამცირებს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკებს და ახალისებს საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბებას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

ინფორმირებული საზოგადოება უფრო ეფექტურად იცავს საკუთარ უფლებებს, არჩევნებში მონაწილეობისას იღებს გააზრებულ გადაწყვეტილებებს და აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის განვითარების პროცესში. ინფორმაციის თავისუფლება სტიმულს აძლევს ინოვაციებსა და ეკონომიკურ განვითარებას.

ინფორმაციის მიღების უფლებას, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების - აზრისა და გამოხატვის თავისუფლების ნაწილს, განამტკიცებს როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობა.

1.1.1. საერთაშორისო აქტები

გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს აზრისა და გამოხატვის თავისუფლება. ეს თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი და დაუბრკოლებლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები ყოველგვარი საშუალებებით, მიუხედავად საზღვრებისა."

მსგავს ჩანაწერს შეიცავს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ[1], რომლის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „თითოეულ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას, რომ სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ყოველგვარი ინფორმაცია ზეპირად, წერილობით თუ პრესისა და გამოხატვის მხატვრული ფორმების საშუალებით ან სხვა საშუალებით საკუთარი არჩევანით."

ხსენებული უფლება ასახულია რეგიონულ საერთაშორისო აქტებშიც. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის[2] მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად."

საჯარო დაწესებულებებში არსებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლების პირდაპირი მოწესრიგების თვალსაზრისით აღსანიშნავია ევროპის საბჭოს კონვენცია ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ[3], რომელიც კონკრეტულად ადგენს ოფიციალური დოკუმენტებისადმი ხელმისაწვდომობისა და მათი გამოთხოვის უფლებას[4], ოფიციალურ დოკუმენტად კი საჯარო დაწესებულებებში ნებისმიერი ფორმით დაცულ ინფორმაციას მიიჩნევს[5].

ინფორმაციის მიღების უფლების ხაზგასმასთან ერთად, ზემოხსენებული აქტები აღნიშნავენ, რომ იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შესაძლოა შეიზღუდოს კანონით დადგენილი კონკრეტული ლეგიტიმური ინტერესების, მათ შორის, სხვა პირთა უფლებების დაცვის საფუძვლით.[6]

---

[1] საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

[2] საქართველოსთვის ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან.

[3] საქართველოს მხრიდან ხელი მოეწერა 2009 წელის 18 ივნისს.

[4] იხ. ევროპის საბჭოს კონვენცია ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ, მუხლი 2.

[5] იხ. ევროპის საბჭოს კონვენცია ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ, მუხლი 1, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „b".

[6] იხ. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 19, პუნქტი 3; ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 10, პუნქტი 2; ევროპის საბჭოს კონვენცია ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ, მუხლი 3.

1.1.2. ეროვნული კანონმდებლობა

ინფორმაციის მიღების უფლებას, როგორც ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას, ეროვნულ დონეზე საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს. კერძოდ, კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია."

ამავე მუხლის მე-5 პუნქტი აღნიშნული უფლების შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება უშუალოდ საჯარო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობას, აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ უთითებს, რომ ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ასეთ ინფორმაციასა და დოკუმენტს. ამავე პუნქტის თანახმად, ეს უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს, თუ ინფორმაცია ან დოკუმენტაცია შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად.

საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი წესების ძირითად საკანონმდებლო ჩარჩოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აყალიბებს.

აღნიშნული კოდექსის თანახმად, ასეთი ინფორმაცია საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება.[7]

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა.[8] ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში.[9]

---

[7] იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 2, ნაწილი 1, ქვეპუნქტი „მ".
[8] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 28, ნაწილი 1.
[9] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 37, ნაწილი 1.

ამდენად, ზემოხსენებული წესის თანახმად, თუ საჯარო ინფორმაცია პერსონალურ მონაცემებს შეიცავს, ეს შეიძლება გახდეს დაინტერესებულ პირთათვის მისი ღიაობის დაბრკოლების საფუძველი.

ამასთან, ამავე კოდექსის თანახმად, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უნდა მოწესრიგდეს.[10]

1.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვა

როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობა, ინფორმაციის მიღების უფლების მნიშვნელობის აღიარების პარალელურად, მკაფიოდ განსაზღვრავს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის დაცვის აუცილებლობას.

ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების პატივისცემის გარეშე წარმოუდგენელია მისი ღირსებისა და უსაფრთხოების დაცვა, თვითგამორკვევის და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ჯეროვნად დაცვა აღიარებულია, როგორც ადამიანის სხვა ისეთი ძირითადი თავისუფლებებით უზრუნველყოფის წინაპირობა, როგორიცაა გამოხატვის, სიტყვის, აზრის, სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება.

თავის მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დაცვა პირდაპირ ემსახურება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას, რამდენადაც მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესების მიზანია, აღჭურვოს თითოეული ადამიანი შესაძლებლობით, თავად განსაზღვროს, როდის და რა ფარგლებში გახადონ ხელმისაწვდომი მის შესახებ ინფორმაცია, დაიცვას იგი ამგვარი ინფორმაციის დაუსაბუთებლად, უსამართლოდ ან ღირსების შემლახავად შეგროვებისა და გამოყენებისგან.

1.2.1. საერთაშორისო აქტები

გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლის თანახმად, „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მის საცხოვრებელსა და მიმოწერაში თვითნებურ ჩარევას, ისევე როგორც მისი პატივისა და რეპუტაციის ხელყოფას. ყველას აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისგან.“

ამავე უფლებას განამტკიცებს, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტიც, რომლის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება, რომ იყოს დაცული მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.“

უშუალოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესების საერთაშორისო დონეზე რეგულირების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტია ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური

[10] იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 27[1].

პირების დაცვის შესახებ[11] (ე.წ. 108-ე კონვენცია). აღნიშნული კონვენციით განმარტებულია პერსონალური მონაცემების ცნება და კატეგორიები, ამასთან, განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავებისა ის ძირითადი პრინციპები და მონაცემთა სუბიექტის ის უფლებები, რომლებიც არაერთი სახელმწიფოს, მათ შორის, საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაშიც არის ასახული.

ზემოხსენებული აქტების თანახმად, აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას არც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებები განეკუთვნება და სათანადო აუცილებლობის პირობებში მათში ჩარევა დასაშვებია კანონის თანახმად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესების ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად[12].

1.2.2. ეროვნული კანონმდებლობა

ეროვნულ კანონმდებლობაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი აყალიბებს, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია.“

ამავე პუნქტის თანახმად, აღნიშნული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხორციელდება კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მნიშვნელობის ხაზგასმის თვალსაზრისით ასევე აღსანიშნავია კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს ადამიანის შესახებ ზოგიერთი ინფორმაციის სხვა პირთათვის ხელმისაწვდომობის ფარგლებს. აღნიშნული პუნქტის თანახმად, „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად.“

ფიზიკურ პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებულ კონკრეტულ წესებს საქართველოში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს. კანონის მიზანია ამგვარი ინფორმაციის დამუშავებისას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების, დაცვა.[13]

---

[11] საქართველოსთვის ძალაშია 2006 წლის 1 აპრილიდან.

[12] იხ. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 8, პუნქტი 2.

[13] იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 1.

კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება.[14] აღნიშნულ ფიზიკურ პირებს კი კანონი მონაცემთა სუბიექტებს უწოდებს[15]. შესაბამისად, პერსონალურ მონაცემად უნდა იქნეს მიჩნეული საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც კონკრეტული პირის შესახებ რაიმე ცნობას შეიცავს. თავად ასეთი პირი კი მონაცემთა სუბიექტად უნდა ჩაითვალოს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი მონაცემთა დამუშავებად მიიჩნევს პერსონალური მონაცემების მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის, ასეთი ინფორმაციის სხვა პირთათვის გამჟღავნებას.

კანონის თანახმად, პერსონალური მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დამუშავდეს, თუ სახეზეა კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი:

- მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;
- დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისთვის ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დადებისთვის;
- დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;
- დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;
- დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად (დანაშაულის თავიდან აცილებისთვის, დანაშაულის გამოძიებისთვის, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისთვის და სხვა);
- დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად და არ არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
- დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად (მისთვის მომსახურების გასაწევად).[16]

რაც შეეხება ადამიანის ჯანმრთელობასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ მრწამსთან, სქესობრივ ცხოვრებასთან და სხვა განსაკუთრებულად სენსიტიურ საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი მას

[14] იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი „ა“.
[15] იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი „ლ“.
[16] იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 1.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემად მოიხსენიებს[17] და ასეთი ინფორმაციის დამუშავებისთვის განკუთვნილ დასაშვებ შემთხვევათა ჩამონათვალს განცალკევებით განსაზღვრავს.[18]

აღნიშნული კანონის თანახმად, ნებისმიერი პირი, რომელიც პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებს, ზემოხსენებულ დასაშვებ შემთხვევათაგან სულ მცირე ერთ-ერთის არსებობის დასაბუთებასთან ერთად, ვალდებულია, დაიცვას ამავე კანონით განსაზღვრული შემდეგი პრინციპები:

- მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად;
- მონაცემები უნდა შეგროვდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;
- მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება;
- მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული;
- მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;
- მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას მიღებული უნდა იქნეს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები.[19]

მონაცემთა დამუშავების აღნიშნული წესები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების მიერ მათთან დაცულ ინფორმაციასა და დოკუმენტებში არსებული პერსონალური მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზეც, მათ შორის, ასეთი მონაცემების ნებისმიერი გარეშე პირისთვის გამჟღავნებაზე.

2. ინტერესთა ბალანსი

ამრიგად, როგორც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველმყოფი, ისე პერსონალური მონაცემების დაცვის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და ორივე მათგანი მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის დაცვას ემსახურება.

შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინტერესთა დაპირისპირებისას, პასუხისმგებელ პირებს მართებთ განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა სწორად განსაზღვრონ მათ შორის უპირატესი და გადაწყვეტილება თითოეულ შემთხვევაში აღმატებული ღირებულების მქონე სიკეთის დაცვის სასარგებლოდ მიიღონ.

---

[17] იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი „ბ“.
[18] იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1.
[19] იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 1.

ამგვარი შეფასებისას ბალანსი იმგვარად უნდა იქნეს დაცული, რომ საზოგადოებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოტივით არ შეეზღუდოს წვდომა დემოკრატიული პროცესებისთვის სასიცოცხლო ინფორმაციაზე. ამავდროულად, არ შეიძლება, უპირატესობა ყველა შემთხვევაში ინფორმაციის ღიაობას მიენიჭოს და საზოგადოების წევრთა ნებისმიერი დაინტერესება საჯარო დაწესებულებაში დაცული პერსონალური მონაცემის უპირობოდ გამჟღავნების საფუძველი გახდეს.

საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესებს შორის წინააღმდეგობა საჯარო ინფორმაციის გაცემის ყველა მოთხოვნასთან მიმართებით არ წარმოიქმნება. ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან დაკავშირებულ არავითარ მონაცემს არ შეიცავს, მოთხოვნის დაკმაყოფილება არ იწვევს რომელიმე პირის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევას.

აღნიშნულ ინტერესთა ბალანსის სათანადოდ შეფასების საჭიროება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომად გახდის მხოლოდ ისეთი შემთხვევათა განხილვისას არსებობს, რომელთა დაკმაყოფილებაც რომელიმე პირის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას გამოიწვევს.

2.1. ინტერესთა ბალანსის პირდაპირი საკანონმდებლო რეგულირების შემთხვევები

ზოგიერთ შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ღიაობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის უპირატესს კანონმდებლობა თავადვე იმპერატიულად განსაზღვრავს. მაგალითად:

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის „დ“, „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტების თანახმად, ყველას აქვს უფლება, იცოდეს:
  - საჯარო დაწესებულების იმ სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;
  - არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;
  - საჯარო მონაცემთა ბაზისთვის პასუხისმგებელი პირისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;
- ამავე კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, თანამდებობის პირის, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის პერსონალური მონაცემები საჯაროა;
- „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მიიღოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ასლი და გაეცნოს მას, გარდა დეკლარაციაში მითითებული გარკვეული მონაცემებისა. ამავე კანონის მიხედვით კი, ქონებრივი დეკლარაცია როგორც თავად თანამდებობის პირის, ისე მისი ოჯახის წევრების არაერთ პერსონალურ მონაცემს შეიცავს; [20]

[20] იხ. საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, მუხლი 15.

- „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები და მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული დოკუმენტაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

ამგვარ შემთხვევებში კანონი თავადვე ანიჭებს უპირატესობას ინფორმაციის ღიაობის ინტერესს, ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტულ მონაცემებზე მითითებით, ზოგჯერ კი შედარებით ზოგადი შინაარსის დათქმით.

ასეთ დროს, შესაბამისი საჯარო დაწესებულება არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიცაა, უზრუნველყოს კანონით პირდაპირ განსაზღვრულ ინფორმაციაში მითითებულ პერსონალურ მონაცემებზე ნებისმიერი დაინტერესებული პირის წვდომა, რათა სათანადოდ შეასრულოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები.

აღნიშნული პერსონალური მონაცემების დაინტერესებულ პირთათვის გამჟღავნება, თავის მხრივ, თავსებადი იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებთანაც, ვინაიდან ხსენებული კანონი პერსონალური მონაცემების მესამე პირთათვის გამჟღავნებას დასაშვებად მიიჩნევს, თუ: ამგვარი გამჟღავნება გათვალისწინებულია კანონით; გამჟღავნება საჭიროა დაწესებულებისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად; კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნების გზით კანონიერად დამუშავებისთვის, გადაწყვეტილების მიმღებმა დაწესებულებამ კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპები უნდა დაიცვას. მაგალითად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა დამუშავების პროცესის გამჭვირვალობა. ამასთან, თითოეულ შემთხვევაში, კონკრეტული საკანონმდებლო ჩანაწერის შინაარსისა და მიზნების ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს, კონკრეტულად რომელი პერსონალური მონაცემების საჯაროობას განსაზღვრავს ესა თუ ის ნორმა და მის საფუძველზე მხოლოდ შესაბამისი მონაცემები უნდა გამჟღავნდეს. გარდა ამისა, აუცილებელია, დაცული იყოს გამჟღავნებული მონაცემების ნამდვილობა და სიზუსტე.

მოყვანილი მაგალითებისგან განსხვავებით, ზოგიერთ შემთხვევაში, კანონი უპირატესი დაცვის ღირსად პირდაპირ მიიჩნევს პერსონალური მონაცემების საიდუმლოობას. მაგალითად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 29-ე მუხლი გამხელისგან იცავს თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა ვინაობას. ასეთი ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაშიც, მიღებული გადაწყვეტილება კანონის იმპერატიული ჩანაწერით იქნება ნაკარნახევი.

2.2. საჯარო დაწესებულების დისკრეცია

საჯარო დაწესებულებებში დაცული პერსონალური მონაცემების უმეტესობასთან მიმართებით, მათი ღიაობის ან დახურულობის განმსაზღვრელ მსგავს იმპერატიულ ჩანაწერს კანონმდებლობა არ შეიცავს. შესაბამისად, ამგვარი მონაცემების შემცველი ინფორმაციის

გამჟღავნების მიზანშეწონილობის განხილვისას საჯარო დაწესებულებამ საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში თავად უნდა შეაფასოს ურთიერთსაპირისპირო მხარეს მდგომი ინტერესები და კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოებების შესწავლის საფუძველზე გამოავლინოს მათ შორის უპირატესი.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც ცალსახაა, რომ საჯარო ინფორმაციის გამჟღავნებით დაინტერესებულ პირთა ინტერესის დაკმაყოფილება მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გამჟღავნების გარეშეც შესაძლებელია, ინფორმაციის მიღებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებს შორის ბალანსის დაცვა შედარებით მარტივად ხერხდება. ასეთ დროს შესაძლებელია დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია ან დოკუმენტი ხელმისაწვდომი გახდეს მასში არსებული პერსონალური მონაცემების გარეშე, იმგვარი ფორმით, რომ გაცემული ინფორმაციის კონკრეტულ ფიზიკურ პირთან დაკავშირება აღარ იყოს შესაძლებელი არც თავად მისი შინაარსით და არც ინფორმაციის მიმღები ან სხვა გარეშე პირისთვის ხელმისაწვდომი რაიმე დამატებითი ცნობებით.

ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესთა დაბალანსება რთულდება მაშინ, როდესაც მოთხოვნილი ინფორმაცია ფიზიკურ პირებთან დაკავშირებული ცნობების დაფარვის შემთხვევაში სრულად კარგავს მის ინფორმაციულ ღირებულებას, ან როდესაც მოთხოვნის წარმდგენი პირდაპირ ითხოვს კონკრეტული იდენტიფიცირებული პირის შესახებ ინფორმაციის გადაცემას. ამგვარ შემთხვევებში, გადაწყვეტილების მიღება რომელიმე მხარის უფლებაში ჩარევის გარეშე შეუძლებელია. შესაბამისად, მსგავსი გადაწყვეტილებები გარემოებათა განსაკუთრებით საფუძვლიან შესწავლას უნდა ეყრდნობოდეს.

ასეთ დროს, საჯარო დაწესებულებამ, ერთი მხრივ, უნდა უზრუნველყოს მასთან დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დარღვევით არ გაუმჟღავნოს ეს ინფორმაცია გარეშე პირებს, ხოლო მეორე მხრივ, პერსონალური მონაცემების დაცვის საჭიროებაზე მითითებით არ უნდა შეზღუდოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, თუ ინფორმაციის ამგვარი გამჟღავნება ხსენებული კანონის მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგება.

იმის გამოსარკვევად კი, დასაშვებად მიიჩნევს თუ არა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი საჯარო დაწესებულების მიერ მასთან დაცული ამა თუ იმ პერსონალური მონაცემის გარეშე პირთათვის გამჟღავნებას, გადაწყვეტილების მიმღებმა თითოეულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს, არსებობს თუ არა აღნიშნული კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების რომელიმე საფუძველი. ასეთი საფუძვლის გამოკვეთის შემთხვევაში საჯარო დაწესებულებამ გადაწყვეტილება ინფორმაციის ღიაობის სასარგებლოდ უნდა მიიღოს, ხოლო თუ დამუშავების ვერცერთი საფუძვლის არსებობა ვერ დადგინდება, მონაცემები არ უნდა გამჟღავნდეს.

როგორც აღინიშნა, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 და მე-6 მუხლი განსაზღვრავს.

როდესაც საჯარო დაწესებულებაში დაცულ პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებასთან მიმართებით კანონმდებლობით პირდაპირ ნაკარნახევი, ზემოთ განხილული დამუშავების

საფუძვლები[21] არ იკვეთება, საჯარო დაწესებულებამ ასევე უნდა შეაფასოს, ხომ არ არის სახეზე კონკრეტული პირის ან პირთა განსაზღვრული ჯგუფის ლეგიტიმურ ინტერესთან ან მნიშვნელოვან საჯარო ინტერესთან დაკავშირებული დამუშავების საფუძვლები.

2.2.1. მესამე პირის ლეგიტიმური ინტერესი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებას დასაშვებად მიიჩნევს, თუ იგი აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი.[22]

დამუშავების აღნიშნული საფუძველი სახეზეა ისეთ შემთხვევებში, როდესაც დადასტურდება, რომ მონაცემთა გამჟღავნება აუცილებელია ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული ან სხვა პირის, ან პირთა განსაზღვრული ჯგუფის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად და ამის საპირწონედ არ არსებოს მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი.

დამუშავების ხსენებული საფუძვლის არსებობის გამოსარკვევად უნდა შემოწმდეს შემდეგი:

- იკვეთება თუ არა ლეგიტიმური ინტერესი:
  - უნდა ირკვეოდეს კონკრეტული საჭიროება, რომლისთვისაც განიხილება მონაცემთა გამჟღავნება
  - აღნიშნული საჭიროება უნდა იყოს რეალური და საკმარისად კონკრეტული
  - აღნიშნული საჭიროების დაკმაყოფილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის ან ეთიკის ნორმებს
- საჭიროა თუ არა მონაცემთა გამჟღავნება ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად:
  - მონაცემთა გამჟღავნება აღნიშნული ლეგიტიმური ინტერესის დაცვისთვის გამოსადეგი უნდა იყოს
  - ლეგიტიმური ინტერესის დაცვა არ უნდა იყოს შესაძლებელი აღნიშნულ მონაცემთა გამჟღავნების გარეშე
- გადაწონის თუ არა ლეგიტიმური ინტერესი მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის ინტერესს:

  აღნიშნულ ინტერესთა ბალანსის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები:

---

[21] იგულისხმება შემთხვევები, როდესაც მონაცემები კანონის თანახმად საჯაროდ ხელმისაწვდომია, მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით, ან საჭიროა დაწესებულებისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

[22] იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ი“.

- არსებობს თუ არა დაწესებულებასა და მონაცემთა სუბიექტს შორის რაიმე იმგვარი ურთიერთობა (მაგალითად, შრომითი), რაც მას მონაცემების ამგვარი გამჟღავნების გარკვეულ მოლოდინს შეუქმნიდა
- რამდენად სენსიტიურია მონაცემები
- მონაცემთა სუბიექტისთვის რა უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოიწვიოს მონაცემთა ამგვარმა გამჟღავნებამ
- ხომ არ არის მონაცემთა სუბიექტი არასრულწლოვანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან სხვა განსაკუთრებული სოციალური თუ სამართლებრივი დაცვის საჭიროების მქონე პირი
- რამდენად ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტი მისი მონაცემების ამგვარი გამჟღავნების შესახებ
- მიეცა თუ არა მონაცემთა სუბიექტს შესაძლებლობა, გამოეთქვა საკუთარი აზრი მისი მონაცემების ამგვარი გამჟღავნების შესახებ და არის თუ არა იგი წინააღმდეგი.

შეპირისპირებულ ინტერესთა ბალანსი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს. აღნიშნულისთვის კი, საჭიროა, საჯარო დაწესებულებამ დეტალურად გამოარკვიოს ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული პირის ან პირთა ჯგუფის კონკრეტული მიზანი და კანონიერი ინტერესი, რათა სათანადოდ განსაზღვროს მონაცემთა სუბიექტის ინტერესებთან მისი თანაფარდობა.

2.2.2. მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნება ასევე კანონიერია, როდესაც ეს აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად.

ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის ღიაობასთან მიმართებით არსებობდეს არა კონკრეტული პირის ან პირთა განსაზღვრული ჯგუფის, არამედ ფართო საზოგადოების ინტერესი და ამგვარი საჯარო ინტერესი იმდენად მაღალი იყოს, რომ გადაფაროს მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება.

მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის მოტივით პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას უნდა ემსახურებოდეს.

ამგვარ საჯარო ინტერესს უკავშირდება, მათ შორის, ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და დანაშაულის თავიდან აცილება, რაც საბოლოოდ ადამიანის უფლებათა დაცვის მიზანს ემსახურება.

ასეთად ასევე შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოების ინტერესი, მოიპოვოს ობიექტური ინფორმაცია მნიშვნელოვანი საჯარო დისკუსიის გამომწვევი სხვა საკითხების შესახებ. მაგალითად, ამგვარ საჯარო ინტერესს შეიძლება განეკუთვნებოდეს მოსახლეობის ინფორმირება სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული ქონებისა და სხვა სამართლებრივი

სიკეთეების განკარგვასთან და შესაბამისი სარგებლის მიმღებ პირებთან დაკავშირებით, როდესაც ეს არსებითად უწყობს ხელს საჯარო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობაზე ეფექტურ საზოგადოებრივ კონტროლს.

მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დაცვის საჭიროების, როგორც მონაცემთა გამჟღავნების ლეგიტიმური მიზნის არსებობის შეფასებისას მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს მონაცემების ღიაობის მიმართ საზოგადოების დასაბუთებული დაინტერესება. ამგვარი ინტერესის დაცვა არ უნდა იქნეს აღრეული ამა თუ იმ პირის პერსონალური მონაცემების მიმართ საზოგადოების გარკვეული წრის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებასთან, როდესაც ეს არ ემსახურება საზოგადო საჭიროებათა შესახებ საჯარო დისკუსიის წახალისებას.

იმისთვის, რომ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნების კანონიერ საფუძვლად ჩაითვალოს, აუცილებელია, მონაცემთა ასეთი დამუშავება გამოსადეგი იყოს ამგვარი ინტერესის დასაცავად. ამასთან, მონაცემთა გამჟღავნების გარეშე ხსენებული ინტერესის სათანადოდ დაცვა არ უნდა იყოს შესაძლებელი.

მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის არსებობის, მის დასაცავად კონკრეტულ მონაცემთა გამჟღავნების გამოსადეგობისა და აუცილებლობის შეფასების შემდეგ, აუცილებელია დადგინდეს, ხომ არ წარმოადგენს საზოგადო ინტერესების დაცვის მოტივით მონაცემთა ამგვარი გამჟღავნება მონაცემთა სუბიექტის უფლებებში არაპროპორციულ ჩარევას. ამისთვის უნდა გამოირკვეს, გადაწონის თუ არა კონკრეტული საჯარო ინტერესის დაცვის საჭიროება მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის ინტერესს.

ინტერესთა ბალანსის შეფასებისას თითოეულ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული:

- მონაცემთა სუბიექტის სტატუსი
  - თანამდებობის პირებსა და საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებს აქვთ მათ შესახებ ინფორმაციასთან მიმართებით საზოგადოების ინტერესის მეტი მოლოდინი
  - არასრულწლოვანის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან სხვა განსაკუთრებული სოციალური თუ სამართლებრივი დაცვის საჭიროების მქონე პირის მონაცემთა გამჟღავნება მონაცემთა სუბიექტის უფლებებისადმი მომეტებულ რისკებს წარმოშობს
- მონაცემთა სენსიტიურობა
- მონაცემთა გამჟღავნების შედეგად მონაცემთა სუბიექტის ინტერესებისადმი მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების სიმძიმე
- ამგვარი გამჟღავნების შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებულობის ხარისხი.

მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესისთვის აუცილებლობის მოტივით პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებისას აუცილებელია, გადაწყვეტილების მიმღებმა დაწესებულებამ სრულად დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების თითოეული პრინციპის, მათ შორის, მონაცემთა მინიმიზაციის, გამჭვირვალობისა სიზუსტის პრინციპების მოთხოვნები.

პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური